საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 51^1 მუხლის მოქმედი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის მაისიდან ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე.“.

2. 73-ე მუხლის მოქმედი რედაქციის პირველი პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას; მთავრობას, მთავრობის წევრს აკისრებს მოვალეობათა შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;“;

ბ) „ს“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-80 მუხლის მოქმედი რედაქციის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 3 დღის ვადაში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 51^1 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოება. საქართველოს კონსტიტუციის 51^1 მუხლის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს შესაბამისი გარემოების ამოწურვიდან 3 დღის ვადაში.“;

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. მთავრობის გადადგომის ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი გადაყენების შემთხვევაში პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. მთავრობის ახალი შემადგენლობის წარდგენა და მისთვის ნდობის გამოცხადება ხდება ამ მუხლის მე-2–მე-4 პუნქტების შესაბამისად. პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესი, იმ პირობით, რომ გადამდგარი თუ გადაყენებული მთავრობა განაგრძობს თავისი მოვალეობის შესრულებას რიგგარეშე არჩევნების შედეგად ახალარჩეული პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადებამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ქუთაისი,

25 მარტი 2013 წ.

N496-რს